

საპრესიელი

საპრესიელი გაზეთი

შაბათი 21 ივლისი 2001 №136 (1409)

ფასი 50 თეთრი

გაზეთის
ფინანსური
და მენეჯერული
სამსახური

დაეტოლება ტორკედო ლასიოს?

გზა თუ სწორია, რომელიც ჩავა, მენდიეტას კი ქუთაისში ჩამოიყვანს

გაისკა მენდიეტა გუმინწინ რომში ჩავიდა და „ლაციოსთან“ კონტრაქტი გააფორმა.

რომში ჩასვლა გუმინწინდამდე თუ მენდიეტას საქმე იყო, გუმინს აქეთ საქართველოს და დანიის ჩემპიონთა გასარკვევი გახდა, ჩამოვლენ თუ არა ქუთაისში მენდიეტა, კრესპო, ნესტა და სულაც დანარჩენი რომის „ლაციო“.

გუმინს ნაშუადღევს ნიონში გამართულმა წილისყრამ განთქმულ „ლაციოს“ სავარაუდო მეტოქედ სწორედ „ტორპედო“ — „კოპენჰაგენის“ გამარჯვებული არგუნა. თუ საქართველოს ჩემპიონმა დანიური ბარიერი გადალახა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მისაზველად იტალიურ გრანდთან მოუწევს შეჭიდება.

ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთ „ქართულ“ გუნდს, „გენერის რიგის“ „სკონტოს“ პოლონური „ვისლას“ მღვივანე შემთხვევაში მთლად უარესი, ესპანური „ბარსელონა“ ელის ამან „სკონტო“ — „ბარსელონას“ სამი წლის წინანდელი უმეღავათო ორთაბრძოლა (0:0, 2:3) და „ტორპედოს“ ამჟამინდელი თავკაცის ცოტა ხნის წინ ნათქვამი შეგვახსენა:

— „სკონტო“ ვითამაშე „ბარსელონასთან“ ტოლად და რატომ ჰგონიათ, ეს „ტორპედო“ ვერ შეძლოს სწორედ დღევანდელი კონტინენტით. მოგვეცით დრო და ბევრს დაგუშვებთ, რომ სწორი გზით მივლივართ — განაცხადა რევაზ მოძუაშვილმა 8 ივლისს „ლინფილდისწინა“ პრესკონფერენციაზე.

დროზე უკეთ გზის სისწორე-სიმრუდე მართლაც ვერაფერი ზომავს. დრო ყველაფერს დროულად დაგვანახებს. მანამდე კი ამის თქმა შეუძლებელია. მოძუაშვილი ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახლდათ და არა „სკონტოსი“. რიგელებს, მაშინაც და ახლაც, ალექსანდრ სტარკოვი თავკაცობდა, ქართველი კი იმხანად მხოლოდ კონსულტანტობდა.

და კიდევ: მოძუაშვილის „ტორპედო“ ჯერჯერობით ქართველთაგან მუდამ ნაგვემ ჩრდილოეთ-დასავლეთ „ლინფილდს“ ეთამაშა ტოლად, „ლაციომდე“ კი „კოპენჰაგენსაც“ უნდა დაეტოლოს.




რომელია მენდიეტა გაისკა მენდიეტა და „ლაციოს“ თავკაცობა: მასიმო (მარცხნივ) და სერჯო კრანიოტები

REUTERS ფორმულიდან

დათვება ლიდერობა ლოკომოტივს ათხობს

პოპულარი ავლაბრული თაგაშია



გუმინს გამართული საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასკვნითი ტური აღარაფერს წყვეტდა — მედლებისთვის მებრძოლი ოთხეული მანამდე გაირკვა. თუმცა, ერთი პატარა ინტრიგა მაინც შედგა: ბათუმის „დათვება“ ქუთაისში 11:14 წააგო „აიასთან“ და ლიდერობა თბილისის „ლოკომოტივს“ გადაულოცა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — გაანათხოვრა, რადგან „დათვები“ პირველობას ასკ-თან გამოტოვებული მატჩის გამართვის შემდეგვე დაიბრუნებს. ავლაბარში „ლოკომოტივმა“ ეფექტურად დაამარცხა „ყოჩები“ — 51:29, ხოლო „უნივერსიტეტმა“ 112:7 მოუგო ასკ-ს. რკინიგზელმა გიორგი ბუგაიანიშვილმა და სტუდენტმა ირაკლი მოდებაძემ ოთხ-ოთხი ლელო გაიტანეს.

ასკ — უნივერსიტეტი. ერთი ხელის მოჭნევა და სტუდენტი გიორგი ბიძინაშვილი ლელოს გაიტანს

იხილეთ მეტხუმეტე გვერდი

გაფრინ კაბითილანის ფოტო

მენდიტა როგორ გამოვიყენო



ბასკი უკვე როგორ იქნება

მსაბუნარი „ვალენსიადან“ 41 მილიონ დოლარად შეძენილი ბასკი ნახევარმცველი გაისკა მენდიტა რომის „ლაციოში“ გუშინ, ნაშუადღევს ოფიციალურად წარუდგინა საზოგადოებას. ესპანეთის ნაკრების მარჯვენა ფლანგის რამდენიმე პირველი ნახევარიანი შენაძინა ხუან ვერონისა და პაველ ნედედის გასხვისების შემდეგ. შეცვლის მენდიტა ნედვეს? ამ კითხვას გუშინდელ პრესკონფერენციაზე თავად „ლაციოს“ ახალწვეულმა უბასუხა: „ჩემი და ნედვედის შედარება გაუმართლებელია, რადგან ერთი ამპლუის მოთამაშეები არ ვართ.“

აბა, პასპორტი მაჩვენე!



დარტყმა, კიდევ დარტყმა... იტალიური კლუბები მატრად დაბარტყან

მილანის „ინტერის“ ურუგვაელი თავდამსხმელი ალვარო რეკობა იტალიური ფეხბურთის უფროსობამ სამაგალითოდ დასაჯა — ერთი წლით ჩამოაშორეს სერია A-ს. ახლანაირი რეკობამ სასჯელის გასაჩივრება სცადა, მაგრამ ვერაფერს გამოიყვანა — ერთწლიან დისკვალიფიკაციას ერთი დღეც არ მოუკლეს. შეგახსენებთ, რომ სამხრეთამერიკელი პასპორტის გაყალბებაში და ევროკავშირის მოქალაქეობის უკანონო გზით მიღებაში ამხილეს. ეს კი მას და მისთანებს შემადგენლობაში რეგულარულად მოსახვედრად დასჭირდათ. რეკობა „ინტერს“ გაიხის 30 ივნისამდე ვერ დაეხმარება. დასჯილმა ურუგვაელმა ვერდიტის გამოტანის შემდეგ უწონაღობის განუცხადა: „გადაწყვეტილება უსამართლოა, მეც და კლუბიც იმაში შევცდით, რომ ისეთ ხალხს ვენდით, რომლებმაც საკმე აქამდე მიიყვანეს. ახლა თავად პრეზიდენტი მორალტი და კლუბის ადვოკატები მუშაობენ პრობლემის მოსაგვარებლად. მორალტი თავად მელაპარაკა — განრისხებული.“

გაისკა მენდიტა

დაიბადა 1974 წლის 27 მარტს ბილბაოში. მამამისი, ანდრეს მენდიტა ახალგაზრდობაში „რეალის“, „რაიო ვალეკანოს“, „დეპორტივოს“ და „კასტელიონის“ მეკარე იყო
1991: თამაშს იწყებს „კასტელიონში“, სადაც 16 შეხვედრაში მონაწილეობს
1992-1993: გადადის „ვალენსიაში“, რომლის B გუნდშიც თამაშობს 31-ჯერ. გააქვს 2 გოლი
1993: 13 ივნისს დებიუტი აქვს „ვალენსიას“ ძირითად შემადგენლობაში. სეზონში მონაწილეობს 2 შეხვედრაში
1993-1994: მონაწილეობს 20 შეხვედრაში. გააქვს 2 გოლი
1994-1995: მონაწილეობს 13 შეხვედრაში, ოლონდ, ძირითადად შეცვლაზე შედის. გააქვს ერთი გოლი
1995-1996: მონაწილეობს 34 შეხვედრაში. „ვალენსია“ „ატლეტიკოს“ შემდეგ მეორე ადგილზე გადის. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაშია. გააქვს ერთი გოლი. უნდოდა „რეალ სოსიედადში“ გადასვლა, რადგან „ვალენსიას“ მწვრთნელ ხორხე ვალდანოს მისი ამპლუის ფეხბურთელი არ ჰქირდებოდა. აიყვანეს ოლიმპიურ ნაკრებში და ათამაშეს ატლანტის ოლიმპიადებზე
1997-1998: „ვალენსიას“ მწვრთნელის თანამდებობიდან ხსნიან ხორხე ვალდანოს. მის ნაცვლად ნიშნავენ იტალიელ კლაუდიო რანიერის, რომლის ხელშიც მენდიტა მონაწილეობს 30 შეხვედრაში და გააქვს 10 გოლი
1998-1999: მონაწილეობს 34 შეხვედრაში. გააქვს 7 გოლი. ხდება ესპანეთის სამეფო თასის მფლობელი. ამ წილდოს მოპოვებით „ვალენსიას“ ისტორიაში მთავრდება 19 წლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კლუბს ჯილდო არ მოუგო
1999: 27 მაისს დებიუტი აქვს ესპანეთის ნაკრებში. ეს იყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა, რომელიც ვალენსიაში ჩატარდა და რომელშიც ესპანელებმა ავსტრიელებს 9:0 მოუგეს
1999-2000: რანიერი გადადის მადრიდის „ატლეტიკოში“, ხოლო „ვალენსიას“ მწვრთნელად ექტორ რაულ კუპერს ნიშნავენ. მისი ხელმძღვანელობით ვალენსიელები იგებენ ესპანეთის სუპერთასს. იმ სეზონში მენდიტა მონაწილეობს ჩემპიონატის 33 შეხვედრაში, გააქვს 13 გოლი. გუნდი გადის ჩემპიონთა ლიგის ფინალში, სადაც მადრიდის „რეალთან“ 0:3 მარცხდება. ზაფხულში მენდიტა მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატში. უეფა ასახელებს წლის საუკეთესო ნახევარმცველად.
2000-2001: მისი შექენა სურს „მილანი“, მაგრამ ვალენსიელთა მაშინდელი პრეზიდენტი პედრო კორტესი კატეგორიულად უარს ეუბნება. „ვალენსია“ კვლავ გადის ჩემპიონთა თასის ფინალში, სადაც პენალტებით მარცხდება „ბაიერნთან“. ესპანეთის ჩემპიონატში თამაშობს 31 შეხვედრაში, გააქვს 10 გოლი. „ვალენსია“ უარს უცხადებს მადრიდის „რეალს“ მენდიტას მიყიდვაზე, სამაგიეროდ, 41 მილიონად ურიგდება „ლაციოს“.



ხუან რომან რიკელმეს (№22) ბარსელონელობა გადაიღო


მსოფლიოს რაიკრული ტრანსფერები

წელი	ფეხბურთელი	ყოფილი კლუბი	ახალი კლუბი	თანხა (მლნ. \$)
2001	ზინედინ ზიდანი	იუვენტუსი	რეალი	65.2
2000	ლუიშ ფიგუ	ბარსელონა	რეალი	56.1
2000	ერნან კრესპო	პარმა	ლაციო	54.1
1999	კრისტიან ვიერი	ლაციო	ინტერი	50.0
2001	ჯანლუიჯი ბუფონი	პარმა	იუვენტუსი	45.9
2001	გაისკა მენდიტა	ვალენსია	ლაციო	41.0
2001	ხუან სებასტიან ვერონი	ლაციო	მანჩესტერ იუნაიტედი	39.5
1999	ნიკოლა ანელკა	არსენალი	რეალი	35.7
2000	მარკ ოვერმარსი	არსენალი	ბარსელონა	35.5
2001	ლილიან ტურამი	პარმა	იუვენტუსი	35.4
2001	პაველ ნედვედი	ლაციო	იუვენტუსი	35.2
1997	დენისლონი	სან პაულუ	ბეთისი	35.0
2001	მანუელ რუი კოშტა	ფიორენტინა	მილანი	34.9
2000	გაბრიელ ომარ ბატისტუტა	ფიორენტინა	რომა	33.8
1999	მარსიო ამოროზო	უდინეზე	პარმა	33.1
2000	ნიკოლა ანელკა	რეალი	პარი სენ ჟერმენი	31.2
2001	ანტონიო კასანო	ბარი	რომა	28.8
1998	კრისტიან ვიერი	ატლეტიკო	ლაციო	28.0
1997	რონალდო	ბარსელონა	ინტერი	27.9
2001	რუუდ ვან ნისტელროი	ჰსე ვინდჰოვენი	მანჩესტერ იუნაიტედი	27.3
1997	რივალდო	დეპორტივო	ბარსელონა	26.7
2000	კლაუდიო ლოპესი	ვალენსია	ლაციო	26.6
2000	დავიდ ტრეზეგე	მონაკო	იუვენტუსი	26.5
2001	ფილიპო ინძაგი	იუვენტუსი	მილანი	26.2
2001	ჰიდეტოში ნაკატა	რომა	პარმა	26.0

შენ ხარ იტალიური კლუბის მფლობელი? რიკელმე თუ არ მიღბა-მოღბა, ბარსელონელი ვერ იქნება


ამომავალ ვარსკვლავად შერაცხული არგენტინელის ხუან რომან რიკელმეს ყიდვა „ბარსელონამ“ სამომავლოდ გადადო. მიზეზი ისაა, რომ „ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველს ევროკავშირის პასპორტი არ აქვს. მოგეხსენებათ, ევროპის მრავალი კლუბი არსებული შეზღუდვის გამო ამ მხრივ დიდ თავსატეხს აწყდება. კატალონიური კლუბის სპორტულმა დირექტორმა ენტონი პარერამ პრესას განუცხადა: „ამჟამად თითქმის გადაწყვეტილია, რომ რიკელმეს არ ვიყიდით. ახლა ჩვენთან ზუსტად იმდენი არაევროკავშირული ირიცხება, რამდენიც დაშვებულია. სამომავლოდ კი გვსურს, არგენტინელმა „კამპ ნოუზე“ თამაშოს.“ „ბარსელონაში“ ამჟამად ოთხი ისეთი მოთამაშეა, რომლებიც ევროპულ პასპორტს არ ფლობენ. აქედან სამი ამ სატრანსფერო სეზონისას გადავიდა კატალონიაში. აქამდე ასეთი მხოლოდ რივალდო იყო, ახლა კი მას „გრუზიურიდან“ ფლორენსი, „პორტუგალიდან“ ფაბიო როჩებეაკი და „რივერ პლეტიდან“ ზაიკერ სავიოლა დამატებენ და ლიმიტიც ამოიწურა. „ბარსელონაში“ ცოტა ხნის წინ არგენტინის ნაკრებისა და „რივერ პლეტი“ს მეკარე რობერტო ბონანოც ჩაირიცხა, თუმცა იგი იტალიურ პასპორტსაც ფლობს და ამით არაფერი გართულებულა. აღვნიშნავ, რიკელმე „ბარსელონას“ დეკემბერში შეუერთდებოდა, მაგრამ ამაზე პარერამ განაცხადა: „ეს საკმე რომ მოგვარდეს, იმ ოთხეულიდან რომელიმე ევროკავშირის პასპორტი უნდა მიიღოს. ამას კი ვეცდებით, მაგრამ უფრო უკეთესი იქნება, თუ თავად რიკელმე გახდება ევროკავშირის მოქალაქე.“

REUTERS ლოზანდანი



როგის გასაღები

ბელგიელ დოქტორ უაკ როგს ამერიიდან შეუძლია მსოფლიო ოლიმპიზმს თავის გასაღები მთარგოს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალარჩეულ პრეზიდენტს ლოზანაში, სოც-ის შტაბბინაში გადასცეს ამ ორგანიზაციის სიმბოლური გასაღები. ამ გასაღების ძველი პატრონი ცერემონიალს ვერ დაესწრო — გადაღლილი ხუან ანტონიო სამარანჩი სააგადმყოფოში წევს.



REUTERS პარდუბიციდან

დოინიკს უნაგლას

რაღაც ვირუსი შეყრია სამშობლოში მყოფ ლეგენდარულ ჩეხ პოეზისტ დომინიკ პაშეკს. „დეტროიტ რედ უინგზის“ მეკარისთვის პარდუბიცი სააგადმყოფოში უწამლიათ. მართალია: მშობლიურ ქალაქში რომ მოვივლიან და მოგვეფერებინ, ისე არის...

სპორტული ქორნილი


აი, სპორტული ქორნილი, „აი-ტი-ვის“ საფეხბურთო გადაცემის „ონზებოლის“ წამყვანი გეზი იორატი მისთხოვდა განთქმულ სქოთ მორაგბეს კენი ლოგანს. გაბი, თავის მხრივ, ახლო წარსულის ცნობილი უელსელი ფეხბურთელის ტერი იორატის ასულია, კენი კი ინგლისურ „უოსპსში“ ირჯება ვარემარბად. ქორნილი ულამაზეს სოფელ ბლერლოჯში გაიმართა და უურნალოსტებმა სამასი სტუმარი დაითვაღეს.




THE SUN

ბაისსნა


როგორც არის და ფუკუოგაში ოფიციალურად გაიხსნა საწყლოსნო სახეობათა მეცხრე მსოფლიოს ჩემპიონატი. გამხსნელებად იაპონიის უფლისწული და მისი მეუღლე პრინცესა აკიშინო მობრძანდნენ. ამასობაში კი ვარჯიში ვრძელდება: შევდი ტერეზა ალსამარი ტაბლოს ასცქერის და გაცურვის დროს აფიქსირებს.



REUTERS ფუკუოკადან



REUTERS ფუკუოკადან



REUTERS პეკინიდან

კრივი პეკინში

პეკინმა 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა ხელთ მოიგო და ამ ოლიმპიურ ხმაურობაში კიდევ მიავინყდა, რომ 4 აგვისტოს ისტორიულ მოვლენას უნდა უმასპინძლოს. ეს ხომ პირველადაა, რომ კომუნისტურ ჩინეთში მიძიმე წონის საჩემპიონო ორთაბრძოლა გაიმართება კრივში. ევანდერ პოლიფილი შეეცდება ასოციაციის (ვბა) ჩემპიონის ქამარი დაიბრუნოს ჯონ რუისისგან. ჩინური ფაიფურის თევზებიდან კი სწორედ პოლიფილი შემოგვცქერის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამუშაო, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, კარასკეპს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳოცსპერია
დირექტორი ბიორბი ოქრომჭაღლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
ტექნიკური რედაქტორი პასტანა ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიპიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღუნჯაშვილი, ბადრი კვიციანი სტილი-სტეტი მათა აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალი-შვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე ველუტა-შვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბუ-ლაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრის-ტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენ-გიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომწვეები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბაგის ბაზარი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbielli@ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbielli.com.ge